MES 3 23 0000017159

12/01/2023

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**
**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პერტე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ია გიგიბერია** - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თამარ შენგელია -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**გვანცა ნინიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**გვანცა მეტრეველი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**მარი მგელაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ოქლიფის სკოლა**
მაია გურგენიძე - სკოლის დირექტორი
ნინო ღვინიაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
ლიკა გიორგიძე - სკოლის იურისტი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია**
გიორგი არჩვაძე - სკოლის აღმასრულებელი დირექტორი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა**
იღუმენია ანა (მანანა მუსელიანი) - სკოლის რექტორი
დეკანოზი თევდორე (ივლიანე ბასილაია) - სკოლის ადმინისტრაციის უფროსი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

**შპს ოქლიფის სკოლა**
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მაკა ჭიაბერაშვილი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია**
ლელა ფიცხელაური
მარინე ჯანაშვილი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა**
მაკა ჭიაბერაშვილი
თეა გაბელაია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 26 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 10 და 11 ნოემბერს. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ოქლიფის სკოლა დაარსებული იყო შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის მიერ, რომელსაც ჰქონდა მრავალწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში. ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, შპს ოქლიფის სკოლამ მოსწავლეთა პირველი ნაკადი 2021 წლის სექტემბერში მიიღო. მცირე კონტიგენტის მიუხედავად, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 2022-2023 სასწავლო წელს გასამმაგებული იყო, რაც, ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა და მშობელთა მაღალი კმაყოფილების დონის მაჩვენებელი იყო. დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანთან ერთად, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სთავაზობდა მომსახურების ისეთ ნაკრებს, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ე.წ. მოსამზადებელი წლის გარეშე ჩარიცხულიყვნენ. ამ მიზნით, შპს ოქლიფის სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება საერთაშორისო ორგანიზაციასთან Education Pathways Group Ltd (International Foundation Group), რომელსაც ჰქონდა საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლება. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა დაამატა, რომ შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის დახმარებით ხორციელდებოდა არაერთი გაცვლითი პროგრამა უცხოეთის პრესტიჟულ სკოლებში. ამ პროგრამების საშუალებით, საქართველოს სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით, ესწავლათ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, შპს ოქლიფის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მომსახურებას, ისე საერთაშორისო მოსამზადებელ (IFG) პროგრამას დამატებით სავალდებულო საგნების სახით. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართული იყო როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ასევე, საერთაშორისო პარტნიორები.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ სკოლა ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას მხოლოდ საშუალო საფეხურზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. მისი თქმით, სკოლის სასწავლო წლის ორგანიზება, სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე, საგნობრივი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები შესაბამისობაში იყო საშუალო საფეხურის ძირითად მოთხოვნებთან. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 19 მასწავლებელი, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ მათგანს უდასტურდებოდა შესაბამისი საგნის სწავლებისა თუ დამატებითი სავალდებულო მომსახურების განხორციელების კვალიფიკაცია. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგებოდა ყველა არსებითი პუნქტისაგან.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შპს ოქლიფის სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა-ში (არასაცხოვრებელი ფართი N5 და არასაცხოვრებელი ფართი N6). ექსპერტის თქმით, აღნიშნულ მისამართზე მდებარეობდა ორსართულიანი შენობა, რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ორი დამოუკიდებელი ფართისგან შედგებოდა: 1. არასაცხოვრებელი ფართი N5 (-1 სართული, 137,30 მ2) და 2. არასაცხოვრებელი ფართი N6 (1 სართული, 137,30 მ2). აღნიშნული ფართი წარმოადგენდა შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის საკუთრებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ დამატებითი ფართით სარგებლობის მიზნით, მიმდინარე წლის 22 ივნისს შპს ოქლიფის სკოლამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „თერგი XXI“. აღნიშნული ფართი (156.80 კვ.მ.) მდებარეობდა სკოლის ორსართულიანი შენობის გვერდით განთავსებული მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, რომელსაც ჰქონდა იზოლირებული შესასვლელი და არ იკვეთებოდა კორპუსის მაცხოვრებლების საერთო სადარბაზოსთან. ექსპერტის თქმით, დამატებითი ფართის იჯარით სარგებლობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულების ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო ინდივიდუალური სკამებითა და მერხებით, დაფით, მონიტორით და კომპიუტერით. საკლასო ოთახების აღჭურვილობა და სასწავლო გარემო ხელს უწყობდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებას.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის არსებულ ინფრასტრუქტურას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი ან მოედანი. სპორტული დარბაზით სარგებლობის მიზნით, შპს ოქლიფის სკოლას გაფორმებული ჰქონდა მომსახურების ხელშეკრულება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ხელშერკულება აზუსტებდა დარბაზით სარგებლობის წესებს, კვირის დღეებსა და დროს. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ სკოლის ორსართულიანი შენობის გვერდით მდებარე გარე სპორტული მოედნით, რომელიც მუნიციპალიტეტის კუთვნილებას წარმოადგენდა. დაწესებულებამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მერიასთან 2022 წლის 25 ოქტომბერს გაგზავნილი N04/049 განცხადება, აღნიშნული მოედნით სარგებლობის ნებართვასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა მიღებული მერიისგან საპასუხო წერილი.

ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, სკოლის ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლის ახალ ფართში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და მცირე სამკითხველო. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები რეგულირდებოდა შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით და შპს ოქლიფის სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულებით, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რას მოიცავდა მოსწავლეთა მომზადების პროგრამა, რომელიც მოსწავლეებს ამზადებდა უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. სკოლის იურისტმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას სხვადასხვა კურსები ჰქონდა ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში, რაც თავდაპირველად არ წარმოადგენდა სავალდებულო საგნებს, თუმცა მოცემულ მომენტში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იყო როგორც დამატებით სავალდებულო საგნები. სკოლის

დირექტორის მოადგილემ, ნინო ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლას ჰქონდა კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები მოსწავლეებისთვის, რაც მოსწავლეებს ეხმარებოდა მომავალი პროფესიის არჩევაში. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა მოიცავდა ისეთ საგნებს, რომელთა გავლაც მოსწავლეებს უწევდათ უნივერსიტეტის პირველ კურსზე. შესაბამისად, მოსწავლეები მომზადებულები იწყებდნენ უნივერსიტეტში სწავლას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რას გეგმავდა სკოლა სპორტულ მოედანთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მერიასთან მოლაპარაკებებით ვერ მიიღწეოდა სასურველი შედეგი. სკოლის იურისტმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ 2021 წელს სკოლამ გააფორმა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სკოლა სარგებლობდა უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ეზოში მდებარე სპორტული მოედნით. სკოლის იურისტის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მოედნით სარგებლობის პერიოდი და დრო. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სკოლას გაფორმებული ჰქონდა 7 წლის ვადით. რაც შეეხებოდა თბილისის მერიის მფლობელობაში არსებულ სპორტულ მოედანს, სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ თბილისის მერია ახორციელებდა მოლაპარაკებებს აღნიშნულ დასახლებაში მცხოვრებლებთან და შესაბამისი შეთანხმება უნდა მომხდარიყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა რამდენად იქნებოდა მოსწავლეების უსაფრთხოების ნორმები დაცული უნივერსიტეტის სპორტული მოედნით სარგებლობის შემთხვევაში. სკოლის იურისტმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ საგაკვეთილო ცხრილში სპორტის გაკვეთილები ჩასმული იყო ბოლო გაკვეთილების სახით, შესაბამისად, მოსწავლეები აღნიშნული სპორტის გაკვეთილის შემდეგ მიდიოდნენ სახლში და მხოლოდ ერთჯერადად უწევდათ მოსწავლეებს გადაადგილება. აქვე, მან დაამატა, რომ მოსწავლეები აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდნენ სპორტის მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სკოლა სარგებლობა ღია მოედნით თუ დახურული სპორტული დარბაზით. სკოლის იურისტმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა როგორც ღია მოედანი, ასევე, დახურული სპორტული დარბაზი. სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ სკოლას გასულ წელს სურვილი ჰქონდა ხელშეკრულება გაეფორმებინა უნივერსიტეტთან დახურული დარბაზით სარგებლობის მიზნით, თუმცა რადგან მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ხელშეკრულება გაფორმდა ღია სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით. აქვე, ლიკა გიორგაძემ დაამატა, რომ როგორც კი მოხდებოდა სარემონტო სამუშაოების დასრულება და უნივერსიტეტის მხრიდან დახურული დარბაზით სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, სკოლა გააფორმებდა დახურული დარბაზით სარგებლობის ხელშეკრულებას. საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა ამინდის არარსებობის შემთხვევაში როგორ გეგმავდა სკოლა სპორტის გაკვეთილების ჩატარებას. სკოლის დირექტორმა, მაია გურგენიძემ განაცხადა, რომ უამინდობის შემთხვევაში სკოლა იყენებდა საკლასო ოთახებს, რა დროსაც გაკვეთილები ეთმობოდა თეორიულ ნაწილს. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა დაამატა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა პროექტული სწავლების მიმართულებით და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმართულებით სკოლას ჰქონდა სხვადასხვა სახის პროექტები და აქტივობები განხორციელებული, რაც, მისი თქმით, გამოიკვეთა მოსწავლეებთან ინტერვიუირების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლის სპორტული მოედნით უზრუნველყოფა. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნინო ღვინიაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი ჰქონდა სპორტული მოედნით სკოლის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 90 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ოქლიფის სკოლას (ს/კ: 215149284) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, გაფორმებისთანავე ცენტრში წარმოედგინა ხელშეკრულება დახურული სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომა, 16:55 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ.

**2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ გიმნაზიაში სწავლა იყო უფასო თითოეული მოსწავლისათვის. ასევე, გიმნაზია სასკოლო დროის განმავლობაში უფასოდ უზრუნველყოფდა მოსწავლეების კვებას, სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასა და ტრანსპორტით მომსახურებას. გარდა ამისა, ექსპერტმა განმარტა, რომ გიმნაზია მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მოსწავლის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კუთხით განვითარებას. გიმნაზიაში არსებობდა სადურგლო, რძის საწარმო და ხეხილის ბაღი, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულ სასოფლო-სამეურნეო და სამეწარმეო ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები. კერძოდ, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილ ხარვეზებზე სკოლას მოეხდინა დროული რეაგირება. აქვე, ლელა ფიცხელაურმა დაამატა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა. გარდა ამისა, ექსპერტმა განმარტა, რომ მათი მხრიდან სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გაიცა მეორე რეკომენდაცია დაწესებულების ვებ-გვერდთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, შეევსო და განეახლებინა ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა როგორც ღია სპორტული მოედანი, ასევე, დახურული სპორტული დარბაზი. ხოლო, სპორტის სახეობებად არჩეული ჰქონდათ ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სველი წერტილების მოწესრიგება და, როგორც შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვეოდა, სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულებული 2022 წლის 25 დეკემბრამდე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჯამში ჰქონდა 22 კომპიუტერი, მათგან 15 განთავსებული იყო ისტ-ის ლაბორატორიაში. ლელა ფიცხელაურის განცხადებით, დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო 17 ვიდეოკამერა, მათგან გარე სივრცეს აკონტროლებდა 7, ხოლო შიდა სივრცეს 10 ვიდეოკამერა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 54 თანამშრომელი, რომელთაგან 27 იყო პედაგოგი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ 9 მასწავლებელი იყო უფროსი სტატუსი მქონე, 2 წამყვანი, 5 მოწვეული და 11 უსტატუსო, რომლებთანაც გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ აპირებდა სკოლა რომელიმე პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობას ინტეგრირების კუთხით. დაწესებულების აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი არჩვაძემ განმარტა, რომ სკოლას პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სკოლაში პროფესიული განათლების ინტეგრირებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიას (ს/კ: 241582685) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომას, 17:15 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე.

**3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და თეა გაბელაიამ. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მისიაზე და განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებული იყო შეექმნა ჰარმონიული სასკოლო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებოდნენ ქრისტიანულ, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს. სკოლა ხელმძღვანელობდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით. ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი ბადის შესაბამისად, გარდა ქიმიის სწავლებისა მე-7 კლასში. ასევე, მე-5 და მე-12 კლასებში სკოლაში ისწავლებოდა რელიგიის ისტორია. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა აღნიშნული საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ქიმიის მიმართულებით. რაც შეეხებოდა რელიგიის ისტორიის სწავლებას, სკოლის ინფორმაციით აღნიშნული ცვლილება შეთანხმებული იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან საქართველოს საპატრიარქოს მიერ. მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა: მკითხველთა კლუბი ქართულისა და უცხო ენის კათედრის ფარგლებში, მუსიკალური სტუდია და ხატვის წრე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა ინკლუზიური განათლების მართვის სტრატეგია, წარმოდგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, განსაზღვრული იყო მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, სტრატეგიები და მისი განხორციელების მექანიზმები, მოსწავლის სწავლისა და განვითარების თაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფის ამოცანები.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ განსაზღვრული იყო მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, მოსწავლის შეფასების მიზნები, ამოცანები, შეფასების რუბრიკები, კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი (6.0 ქულა), საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და სხვა. კლასების მიხედვით, თითოეული საგნისთვის განსაზღვრული იყო შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. სკოლას მე-5 და მე-11 კლასებში დაგეგმილი ჰქონდა წლიური გამოცდების ჩატარება, თითოეულ კლასში არაუმეტეს ორი საგნისა. აქვე, მან აღნიშნა, რომ გამოცდის ნიშანს გავლენა ექნებოდა წლიურ ნიშანზე.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ფიქსირდებოდა 10 გარე და 13 შიდა ვიდეოკამერა, თუმცა აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიის სრულად დაფარვას. ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია საჭიროებისამებრ ვიდეოკამერების დამონტაჟებასთან დაკავშრებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდშივე დამონტაჟდა 15 კამერა.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას ჯამში ჰყავდა 29 მასწავლებელი, მათ შორის 18 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 11 მასწავლებელი იყო უსტატუსო. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში მასწავლებლები შერჩეულები იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად. მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რის საფუძველზე ჰქონდა სკოლას მიღებული გადაწყვეტილება

საფეხურის დაძლევის ბარიერის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულება მოსწავლის მიღების პროცესში გასაუბრების საფუძველზე შეადგენდა შესაბამის გეგმას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა დამატებითი მომსახურება სრულიად უსასყიდლოდ ბარიერის დასაძლევად მოსწავლისთვის საჭიროებისამებრ. სკოლის რექტორმა, იღუმენია ანამ განაცხადა, რომ სკოლაში გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობდა აღნიშნული ბარიერის (6.0 ქულა) დაძლევას, ხოლო ბარიერის ვერ დაძლევის შემთხვევაში დაინიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა, რომლისთვისაც მასწავლებლები კონკრეტულ მოსწავლესთან იმუშავებდნენ მთელი ზაფხულის განმავლობაში. რაც შეეხებოდა ახალ გადმოსულ მოსწავლეს, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლის მიღების პროცესში სკოლა მასთან ჩაატარებდა გასაუბრებას, რის საფუძველზეც თითოეული მასწავლებელი განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა წარემართა მასწავლებელს აღნიშნულ მოსწავლესთან მომავალი საქმიანობა. აქვე, სკოლის რექტორმა დაამატა, რომ კლასების მცირე კონტიგენტი უზრუნველყოფდა აღნიშნულის განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ ჰქონდა სკოლას საფეხურის დაძლევის ბარიერის განსაზღვრასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ნებართვა. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას არ ჰქონდა რაიმე სახის ნებართვა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლა ვალდებული იყო ნებართვის არარსებობის შემთხვევაში დაეცვა საქართველოს კანონმდებლობა და საფეხურის დაძლევის ბარიერი განესაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (5.0 ქულა). საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ სკოლა 5.0 ქულიანი ბარიერითაც შეძლებდა ხარისხის შენარჩუნებას. სკოლის რექტორმა, იღუმენია ანამ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის ცვლილება არ წარმოადგენდა პრობლემას და საბჭოს დღესვე განახორციელებდნენ ცვლილებას საფეხურის დაძლევის ბარიერის განსაზღვრასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. დაწესებულების წარმომადგენელი შუამდგომლობდა ასევე, საბჭოს წინაშე საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 26 დეკემბერს. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ: 215139892) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 26 დეკემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა